

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი გამომდინარეობს სასმელი წყლის უკანონო მოხმარების ფაქტების ზრდიდან, რითიც მნიშვნელოვანი ფინანსური და მატერიალური ზიანი ადგებათ სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიზანია სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს მიანიჭოს სასმელი წყლის უკანონო მოპოვების შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება, რის შემდგომაც საგრძნობლად შემცირდება სასმელი წყლის უკანონო მოხმარების შემთხვევები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ახალი რედაქციით ყალიბდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლი. ამასთანავე, ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არ ექნებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 239-ე მუხლს ემატება მე-60 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება ენიჭებათ სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის შედეგად არ იცვლება სამართალდარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გაელენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან არ იცვლება ჯარიმის ოდენობა.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გაელენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმის გამო, რომ სამართალდარღვევისათვის არ იცვლება ჯარიმის ოდენობა, ჯარიმის გადამხდელებისათვის ფინანსური შედეგები იგივე რჩება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი გამომდინარეობს სასმელი წყლის უკანონო მოხმარების ფაქტების ზრდიდან, რითიც მნიშვნელოვანი ფინანსური და მატერიალური ზიანი ადგებათ სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიზანია სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს მიანიჭოს სასმელი წყლის უკანონო მოპოვების შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება, რის შემდგომაც საგრძნობლად შემცირდება სასმელი წყლის უკანონო მოხმარების შემთხვევები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ახალი რედაქციით ყალიბდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლი. ამასთანავე, ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არ ექნებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 239-ე მუხლს ემატება მე-60 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება ენიჭებათ სასმელი წყლის მიმწოდებელ კომპანიებს. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის შედეგად არ იცვლება სამართალდარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გაელენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან არ იცვლება ჯარიმის ოდენობა.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გაელენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმის გამო, რომ სამართალდარღვევისათვის არ იცვლება ჯარიმის ოდენობა, ჯარიმის გადახდულებისათვის ფინანსური შედეგები იგივე რჩება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა გადასახდელი. ჯარიმის ოდენობა უკვე დადგენილია კანონის მოქმედი რედაქციით, რომელიც არ იცვლება.

ბ) კანონმდებლობის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონმდებლობის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონმდებლობის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებთან:

კანონმდებლობის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ.

ე) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.